№ 225 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ქუთაისი, ოქტომბრის 6 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. გახცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ოფიციალური განყოფილება.

სახელმწიფო ბიუჯეტი 1919-1920 წლისა.

სახელმწიფო განაკვალი 1919—20 წლისა.

№№ რიგზე	№№ ხარჯთ-აღრიცხვ.	ხარჯის დანიშნულება	ნავარაუდევია მანეთი	კაპ.
		მიწათ-მოქმედების სამინისტრო.		
153	1	მინისტრის და მისი აპხანაგის შენახვა	159900	
154	2	ცენტრალ დაწესებულებათა შენახვა	1171812	82
155	3	მინისტრის საბჭო	125150	
156	4	სასახლის შენახვა	1107741	60
157	5	სასოფლო-სამეურნეო და სახელმწ. მამულების განყოფილება	39339272	80
158	6	საიჯარო განყოფილება	1893706	
159	7	სატყეო განყოფილება	18997818	
160	8	წყალთა განყოფილება	5626327	20
161	9	შინა მრეწველობის განყოფილება	649435	50
162	10	სამეჯნიო განყოფილება	6054712	
163	11	აგრარული რეფორმის განყოფილება	2133678	
164	12	საახალშენო განყოფილება	5280883	
165	13	ცენტრალი სტატისტიკური კომიტეტი	1105960	
		მიწათ-მოქმ. სამინ. ხარჯის ჯამი	83646396	92
		გზათა სამინისტრო.		
166	1	გზათა დეპარტამენტის ცენტრალური ორგანო	5184533	
167	2	ახალი რკინის გზების გამოკვლევა, აგება და განსაკუთრებული სამუშაონი	7315000	
168	3	გზატკეცილების სამმართველო	4179509	12
169	4	მეტეოროლოგიურისა და წყლის საზომი სადგურების შენახვა	17335	
170	5	გზატკეცილებისა და საურმე გზების შეკეთება და შენახვა	15857824	67
171	6	ეძრავი ქარხანის ჩამორთმევის ანაზღაურება	2000	
172	7	პენსია და ერთდროული დახმარება	75	
173	8	მექანიკური სახელოსნოების და მთავრობის გვრეტის შენახვა	2388252	21
174	9	სახაზინო რკინის გზების სამმართველო	10381877	
175	10	ლიანდაგის სამსახური	14570273	
176	11	საექსპლოატაციო სამსახური	13773668	
177	12	მექანიკური სამსახური	76722695	
178	13	სხვა რკინის გზების სამოძრაო შემადგენლობისა და მუდმივი გამართულობის სარგებლობა	2623820	
179	14	სხვა და სხვა ოპერაციის გასავლის დაფარვა	2314531	40
180	15	მცველების შენახვა და გაუთვალისწინებელი, შემთხვევითი და დროებითი ხარჯი	1289400	
181	16	გზის გაუმჯობესების ხარჯი	2691093	
182	17	ახალი სამუშაო	20226735	
183	18	ძირითადი ჯამაგირის მომატება მოსამსახურეთათვის	186977196	
184	19	ჯამაგირის მომატება მოსამსახურეთა და დროებით დარაჯთათვის	15098745	40
185	20	ნავთ-სადგურთა სამმართველო	500000	
186	21	სათბობი მასალის, წასასმელ ზეთის და სხვა მასალის შესაძენად	328830	
187	22	ნავთ-სადგურის მილიცია	23013582	
188	23	ტყიბულის მაღაროების მუდმივ მოსამსახურეთა ჯამაგირი და ქვანახშირის ამომთხრელ მუშა ხელოსანთა ხელფასი		
189	24	მასალის შეძენა, მუშა-მოსამსახურეთათვის სურსათის მიწოდება, საავადმყოფოს და სამკითხველოს შენახვა, საავადმყოფო კასაში შესატანი ფული, დასახიჩრებულთა პენსია და შემწეობა, სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯი, საჯინიბოს შენახვა ფრაატი და ვაგონების მიწოდება, მოულოდნელი ხარჯი	5917257	
190	25	შენობათა შეკეთება	906601	
191	26	ახალი მოწყობილობა მუშაობისა და სატრიალებელი თანხა	4900000	
		გზათა სამინისტროს ხარჯი	417280812	80
		შრომის სამინისტრო.		
192	1	მთავარ დაწესებულებათა შენახვა	828175	
193	2	ადგილობრივ დაწესებულებათა შენახვა	312375	
		შრომის სამინისტროს ხარჯი	1140550	
		სახელმწიფო კონტროლი.		
194	1	სახელმწიფო კონტროლიორისა და მისი ამხანაგის შენახვა	144900	
195	2	სახელმწიფო კონტროლის შენახვა	6501324	95
196	3	დღიური და საგზაო	536666	65
197	4	მომატება ჯამაგირისა	1938960	
		სახელმწიფო კონტროლის ხარჯის ჯამი	9121851	60
		მთელი სახელმწიფოს გასავლის ჯამი	1.960.490.798	

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლიმთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

სახელმწიფო თეატრი

6 ოქტომბერს 1920 წ.

პიპის ქალი

მონაწილეობენ: რისი, ერმოლინსკაია, პანინა, მოზოვეცკაია, ოვსიანიკოვა, სარაჯიშვილი, საბინინი, დემიანენკო, ეზროვი, ქურბატოვი, ქურხული.

7 ოქტომბერს 1920 წ.
სევილიის დალაქი

8 ოქტომბერს 1920 წ.
ევგენი ონეგინი

419 1—1 ოპერის დირექტორი **ს. ი. ევლახიშვილი.**

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. ოქტომბრის 8-ს დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართ. შენობა, თავისუფლების მოედანზე)

საჯარო ვაჭრობა ქალაქის სასწორის იჯარით გასაცემათ

რომელიც მდებარეობს დესიმონოვის ქუჩაზე, 8 უბანში. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

923 2—1 **ქალაქის გამგეობა.**

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. ოქტომბრის 9-ს დილით 10 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართვ. შენობა, თავისუფლ. მოედანზე)

საჯარო ვაჭრობა ქალაქის ერთი და ორი თვლიანი მაღაზიების იჯარით გასაცემათ

რომელიც მდებარეობს თავისუფლების მოედანზე, 3 უბანში. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე.

923 2—1 **ქალაქის გამგეობა**

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. ოქტომბრის 9 დილის 10 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართვ. შენობა, თავისუფლ. მოედანზე)

საჯარო ვაჭრობა ქალაქის ერთ და ორ თვლიანი მაღაზიების იჯარით გასაცემათ

რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქუჩაზე № 10, 2 უბანი. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე.

923 2—1 **ქალაქის გამგეობა.**

არა ოფიციალური განყოფილება.

დროებითი წესდება საქონლის ჭირთან გრძოლისა

1. საქონლის პატრონი მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ადგილობრივ ეროობის გამგეობას ანუ პირდაპირ ექიმ-ვეტერინარს, როდესაც მის საქონელში აღმოჩნდება საეჭვო ავადმყოფი გადამდები სენის ნიშნებით, ან უეცრად მომკვდარი.

2. ეროობის გამგეობა, მიიღებს რა განცხადებას ავადმყოფ, ან მომკვდარ საქონლის შესახებ, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს დეპეშით, ან ტელეფონით, ან საგანგებო კაცის გაგზავნით და მის მოსვლამდის კი მიიღოს შემდეგი წინასწარი ზომები: ა) გამოაცალკევოს სალი საქონელი ავადმყოფებიდან, ბ) ჩამარხოს მკვდარი საქონელი განცალკევებულ ალაგას, რომელიც შემოფარგლული უნდა იყოს არხით ან ღობით, გ) აკრძალოს საქონლის გადარეკა და საქონლის ნედლი მასალის და აგრეთვე თივის, ჩალის და ბზის გატანა სხვა სოფელში.

3. ექიმი-ვეტერინარი ცნობის მიღებისთანავე საქონლის ავადმყოფობის შესახებ მოვალეა მიაშუროს იმ ადგილს, და ეროობის წარმომადგენლის და ორი საქონლის პატრონის თანადასწრებით გასინჯოს ავადმყოფი საქონელი, თუ არის მომკვდარი—გასჭრას სენის გამოსაკვლევად.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც გარეგანი ნიშნები დაავადებულ საქონლისა ნათლად არ არიან გამოსახულნი და ექიმი-ვეტერინარი მოკლებულია საშუალებას გამოსთქვას საბოლოო აზრი ავადმყოფობის შესახებ, დაავადებული საქონელი გამოცალკევდება და მკაცრს ვეტერინარულ ზედამხედველობის ქვეშ რჩება იმ დრომდე, ვიდრე არ გამოაშკარავდება ავადმყოფობის ხასიათი; თუ შესაძლებელია, მოიწვევს მახლობელ მეზობელ ექიმ-ვეტერინარს სენის გამოსარკვევად.

5. როდესაც გამოირკვევა საქონელზედ ჭირის არსებობა ექიმ-ვეტერინარი დაუყონებლივ წარუდგენს ამის შესახებ მოხსენებას შინაგან საქმეთა საშინისტროს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას და ეროობის გამ-

ბეობას, აცნობებს აგრეთვე მეზობელ რაიონების ექიმ-ვეტერინარებს, იწვევს ჭირის მომსპობ აღმასრულებელ კომისიას და აწესებს კანონით და ამავე წესდებით ნაჩვენებ ზომებს ჭირის მოსასპობად.

6. ჭირიანი საქონელი აიცრება კომბინაციური მეთოდით (შრატით და სისხლით). აცრა სავალდებულოა დაჭირიანებულ სოფლის ყველა მსხვილ ფეხა რქიან საქონლისა, ნაწილობრივ კი ადგილობრივ პირობების მიხედვით და თუ სოფლის ყველა საქონლისვის საკმაო შრატი არ მოიპოვება, იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიურ მიზეზების გამო შეუძლებელია დაჭირიანებულ სოფლის საქონლისაგან მახლობელ სოფლის საქონლის მოშორება, ეს სოფელიც შეუერთდება დაჭირიანებულ სოფელს და იქაც აუცილებლივ აიცრება საქონელი.

7. დაჭირიანებულ სოფელში აშკარად ავადმყოფი და სიცხე აწეული საქონელი ცალკევდება და თავსდება განსაკუთრებულ ბოსელში, ან, მოლობილში.

შენიშვნა 1: დაჭირიანებულ სოფელში აშკარა ავადმყოფად ჩაითვლება ის საქონელი, რომელსაც აწეული სიცხის გარდა ექნება გარეგანი ნიშნები ჭირისა.

შენიშვნა 2. სიცხე აწეულად ჩაითვლება ის საქონელი, რომელსაც ექნება სიცხე 40 გრადუსამდე და მეტიც ცელსიით.

8. აღმასრულებელ კომისიაში შედიან ექიმ-ვეტერინარი როგორც თავმჯდომარე, ერობის გამგეობის წარმომადგენელი (ქალაქებში თვითმართველობის წარმომადგენელი) და ორი ადგილობრივი საქონლის პატრონი ამოარჩეული მცხოვრებთაგან. აღმასრულებელი კომისიის მოქმედება გრძელდება საკარანტინო წესების მოხსნამდის. კომისიის მოქმედებას არ აბრკოლებს ერთ-ერთი წევრის არ დასწრება, გარდა ექიმ-ვეტერინარისა. კომისიას ყველა თავის განაჩენი შეაქვს ოქმში, რომელზედაც ხელს აწერენ იქ დამსწრე წევრნი. ასლი ოქმისა დაუყოვნებლივ ეგზავნება ერთი—შ. ს. ს. ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას და ერთიც ერობის გამგეობას.

9. დაჭირიანებულ სოფელში აღმასრულებელი კომისია მოვალეა დაუყოვნებლივ მიიღოს შემდეგი ზომები:

ა) აღნიშნოს დაჭირიანებულ სოფლის საზღვრები, დააწესოს ამ საზღვრებში კარანტინი და ძასზედ თვალყურის დაჭერა დაავალოს მცხოვრებთ.

ბ) შეადგინოს საქონლის საკომლო სია და დააწესოს საქონელზე სავეტერინარო ზედამხედველობა.

გ) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის ლეშის ჩასამარხათ.

დ) დააწესოს სავალდებულო აცრა დაჭირიანებულ სოფლის საქონლისა.

ე) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის დასაბმელად და ასაცრელად. იზრუნოს ასაცრელ იარაღების, შრატის და სხვა ასაცრელ მასალების შენახვაზე.

საქონლის აცრის დროს ექიმ-ვეტერინარმა უნდა იხელმძღვანელოს შ. ს. ს. ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, 5 ივნისს 1920 წ.

შენიშვნა: მუშა ხალხი, ცხენები, შესაბმელი საქონელი, თოკები, ხარიხები საქონლის დასაბმელად, ბინა, გათბობა, განათება და მოსამსახურე, რაც საჭიროა კომისიისთვის მუშაობის დროს კარანტინის მოხსნამდე, შეადგენს სოფლის მოვალეობას.

ვ) გაანჯოს და გამოარკვიოს ვეტერინარ-სანიტარული მდგომარეობა იმ სოფლებისა, რომლებსაც რაიმე ეკონომიური კავშირი აქვთ დაჭირიანებულ სოფელთან და ეჭვს ბადებენ საქონლის ჭირის არსებობისას. თუ რომელიმე სოფელში აღმოჩნდა საეჭვო ავადმყოფი საქონელი, ეს საქონელი უნდა გამოაცალკევოს დანარჩენ სოფლის საქონლიდან და დააყენოს განსაკუთრებულ ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ. ამგვარი გასინჯვა-ძიება უნდა დამთავრდეს დაჩქარებით.

ზ) როდესაც აცრა რაიმე მიზეზით შეუძლებელია, აღმასრულებელი კომისია ახდენს სასტიკ იზოლიაციას ავადმყოფ საქონლისას და აწესებს საზოგადო კარანტინს.

10. დაჭირიანებული სოფლიდგან რქიან მსხვილ საქონლის გადარეკა სხვა ადგილას აკრძალულია იმ დროამდის, ვიდრე სოფელი არ იქნება გამოცხადებული სენისაგან განთავისუფლებულად. იმ შემთხვევაში კი, როდესაც აუცილებელია საქონლის გადარეკა ჭირიან ადგილიდგან სხვა ადგილას, კომისია ხელმძღვანელობს სამთავრო საქონლის წესდების მე-12 §-ით.

11. საქონლის მორეკა საღ ადგილიდგან დაჭირიანებულ სოფელში შეიძლება აღმასრულებელ კომისიის ნებართვით ან დასაკვლელად, ან და ასაცრელად, უკანასკნელ შემთხვევაში საქონლის მორეკა შესაძლებელია იმ პირობით, თუ აცრის შემდეგ მოსახერხებელი იქნება მისი განცალკევებითი შენახვა იმავე სოფელში, რათა კარანტინის ვადა სოფლისათვის არ გაგრძელდეს.

12. დაჭირიანებულ სოფელზედ რქიან მსხვილ საქონლის გარეკა აკრძალულია. გარეკა შეიძლება კომისიისაგან ნაჩვენებ მოსავლელი გზით.

13) გატანა დაჭირიანებულ სოფლიდგან ტყავისა, ხორცისა, მატყლისა, რქისა, ჩლიქისა, თივისა, ბზისა და ჩალისა შესაძლებელია კომისიის ნებართვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება საშიში ჭირის გავრცელების მხრივ.

14) დიდ ქალაქებში საკარანტინო ზომების მიღება დასაშვებია მხოლოდ დაჭირიანებულ უბნებში კომისიის დადგენილებით.

15 დაჭირიანებულ სოფელში საკლავ საქონელს სინჯავს ექიმ-ვეტერინარი დაკვლის დღეს.

16. საქონლის ბაზრობა როგორც დაჭირიანებულ სოფელში, აგრეთვე იმ რაიონში, რომელიც მიჩნეულია კომისიისაგან საეჭვოდ ჭირის მხრივ, აკრძალულია სენის მოსპობამდის.

17) საქონლის ლეში უნდა ჩაიფლას მიწაში $2^1/_2$ არშინის სიღრმეზე აღმასრულებელ კომისიისაგან ამორჩეულ ადგილზე. ამასთანავე ნება ეძლევა პატრონს ტყავი გააძროს ლეშა მხოლოდ იმ პირობით, თუ რომ ტყავის დეზინფექცია მოსახერხებელი იქნება ექიმ-ვეტერინარის ნაჩვენებ წესით და მისივე პირადი ზედამხედველობით.

შენიშვნა: საქონლის ტყავის დეზინფექციისათვის საჭიროა ერთი ათას-პროცენტიანი სულემის ხსნილი, რაშიაც ტყავი დაიტოვებ ოცდა ოთხი საათის განმავლობაში.

18) დაჭირიანებულ ადგილებში ბოსლები და საქონლის სადგომები და იქ ნამყოფი საგნები უნდა დასუფთავდეს ექიმ-ვეტერინარის ჩვენებით, უმნიშვნელო იაფ-ფასიანი ნივთები კი შეიძლება დაიწყოს შეუფასებლად.

19. ჭირიანი სისხლის ამოსაღებად მოკლულ და აცრის შემდეგ მომკვდარ საქონლის ასანაზღაურებლად ფასი მიეცემა პატრონს კომისიის შეფასებით, რაც არ უნდა აღემატებოდეს კანონით მიჩნეულ უდიდეს ფას. არ შეიძლება ამ ფულის გადაცემა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო გადასახადებში. ფული მიეცემა თვით პატრონს, ან მისი რწმუნებული.

20. თუ აღმასრულებელ კომისიის წევრთა შორის მოხდა უთანხმოება ფასის შესახებ, კომისია უნიშნავს საქონლის პატრონს შენაფასის საშუალო ჯამს.

21) იმ საქონლის პატრონთ, რომელთაც თავის დროზედ არ განუცხადეს კომისიას საქონლის მხრივ საეჭვო ავადმყოფობა, ალარ მიეკემა აცრის შემდეგ მომკვდარ აშკარად ავადმყოფ საქონლის ხვედრი ფასი. არ მიეცემათ ფასი მომკვდარ საქონლისა აგრეთვე იმ პატრონთ რომელნიც დაუმალავენ კომისიას საქონელს.

22. დაჭირიანებულ სოფელში აუცრელ მკვდარ საქონელში პატრონს ფასი არ მიეცემა.

23. ის ადგილები, სადაც აიცრა საქონელი, გამოცხადდებიან ჭირისაგან განთავისუფლებულად მხოლოდ 14 დღის შემდეგ, დღიდგან რეაქციის გათავებისა, ან უკანასკნელად მომკვდარ საქონლისა, რომელსაც აშკარად ეტყობა ჭირის გარეგანი ნიშნები.

24. ვიდრე კომისია გამოაცხადებს სოფელს ჭირისაგან განთავისუფლებულად, სოფელი მოვალეა შეასრულოს კომისიის ყველა განკარგულებანი და დადგენილებანი.

25. სოფლისაგან კომისიის ყველა განკარგულების სისწორით ასრულებას თვალყურს ადევნებენ როგორც თვით აღმასრულებელ კომისიის წევრნი, აგრეთვე ადგილობრივი ადმინისტრაცია,—წესების დამრღვევენი მიეცემიან პასუხისგებაში სასჯელთა წესდების 112 და 113 სტ. მიხედვით.

განყოფილების გამგის თანამდებობის აღმ.

დ. ახმეტელი.

საგარეო რუბრიკა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

საზღვრო ცნობა.

ნოვოგრუდსკის რაიონში ნიმანის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობენ უკან დახვას. ნისვიჟის ჩრდილოეთით სწარმოებს ბრძოლა მოპირდაპირის ნაწილებთან. ლუნინეცის სადგურის რაიონში მკაცრი ბრძოლებია. ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევას ნოვგორ-კელინსკზე. ბრძოლა ლატიჩევის დასაჭერად და მის ჩრდილოეთით გრძელდება. ეკატერინოსლავის რაიონში ჩვენი ჯარები მოპირდაპირეს ეკატერინოსლავ-სინილნიკოვის რკინის ხაზზე იბრძვის. იუზოვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მიაყენა რა დიდი ზარალი მოპირდაპირეს, დაიკავა სადგურ დოლიას ჩრდილოეთ დასავლეთის ხაზი.

სამეურნეო კურსები.

პეტროგრადის გუბერნიის თითქმის ყოველ მაზრაში იხსნება სამ თვიანი სასოფლო-სამეურნეო კურსები. კურსებზე აგრონომებს მოამზადებენ. კურს დამთავრებულთ მიაწოდებენ პასუხსაგებ თანამდებობას, რომელიც ამდენანს ისეთ პირებს ეკავათ, რომლებსაც მხოლოდ ზარალი მოქონდათ მშრომელ ხალხისთვის. კურსებზე 50 კაცს მიიღებენ. პირველ რიგში კურსებზე მიიღებენ საბჭოთა კავშირების მუშებს, კომუნისტურ არტელის მუშებს და შემდეგ ყველას, ვინც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობს.

სამეურნეო გამოფენა.

პეტროგრადში მეცნიერი აგრონომები და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ცალკე დარგების სპეციალისტები სასოფლო-სამეურნეო გამოფენას აწყობენ. ამ გამოფენის მიზანს შეადგენს გააცნონ ჩვენს სოფელს სხვა და სხვა გაუმჯობესებანი სასოფლო-სამეურნეო მეურნეობაში და მით აამაღლონ რუსეთის გლეხობის კეთილდღეობა.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული.

ყველა საგუბერნიო, სამაზრო კომიტეტებს და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს. თანახმად რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებისა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული დანიშნულია ნოემბრის 7-სთვის. ეს დღე უნდა აღინიშნოს საერთო კრებებით და გაძლიერებულ აგიტაციით. უნდა ემცნოს ხალხს მიმდინარე მიზნები ჩვენი შინაური და საერთაშორისო პოლიტიკისა, უნდა განუმარტონ ხალხს აუცილებლობა ბრძოლის გაგრძელებისა რუსეთის და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. აგიტაციის ერთი მთავარი მოტივთაგანი უნდა იქნეს: 1) ბრძოლა ვრანგელთან, 2) ყოველგვარი დახმარება წითელ არმიას რომელიც შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში და თბილ ტანსაცმელის შევროვებაში უნდა გამოიხატოს. 3) აქტიური დახმარების აღმოჩენა ჩვენ სასურსათო პოლიტიკაში. საგიტაციოთ გამოიყენით ტროცკის წერილი „დასავლეთის ფრონტი გიხმობთ“, რომელიც დაბეჭდილი იყო „პრავდაში“ და „იზვესტიაში“ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გადაიტანოს ცენტრი აგიტაციისა სოფელში, ამ დროისთვის უმთავრესი ძალა აგიტატორებისა სოფლებში უნდა იქნას გადაყვანილი ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა ოქტომბრის რევოლიუციის დღეს არ მოაწყოს სუბოტნიკი, არ მოაწყოს საზეიმო დემონსტრაციები ქუჩებში, არც ერთი წითელი ჭსოვილისა არ მისცეს ორგანიზაციებს ქუჩების შესამკობლად. თეზისებს და საგიტაციო თემებს გაცნობებთ რადიოთი არა უგვიანეს ოქტომბრის 10-სა.

ჩიჩერინის მიმართვა საფრანგეთისადმი.

რუსეთის მუშათა და გლეხობის მთავრობამ დართო ნება რუსეთში მყოფ ფრანგებს წასულიყვნენ საფრანგეთში. ისე რომ არ დაეშალათ საფრანგეთში მყოფ რუსებისათვის სამშობლოში ჩამოსვლა. მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ამზადებს ახალ თავდასხმას საბჭოთა რუსეთზე. საფრანგეთის მთავრობა სამი წლის განმავლობაში ცდილობდა ჩაეხრჩოსისხლში რუსეთის რევოლიუცია და ახლა იგი კვლავ ემზადება მოაწყოს ახალი თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე. საფრანგეთის მთავრობამ ფორმალურად იცნო გენერალი ვრანგელი, რომელიც იკრეფს თავის გარშემო ძველი რეჟიმის მოჰხრეებს, ეხმარება მას სამხედრო მასალის მიწოდებით. უნდა რომ ვრანგელი გადავიდეს შეტევაზე მუშათა და გლეხების რუსეთის წინააღმდეგ. ყველა მეზობელ ქვეყნებიდან მოდის ცნობები რომლებიც ამტკიცებენ საფრანგეთის მთავრობის აგენტების ფარულ მუშაობას, რომლებსაც სურთ გამოიწვიონ ახალი სისხლის ღვრა, ახალი ომები მიმართული საბჭოთა რუსეთის თავისუფალ არსებობის წინააღმდეგ. საფრანგეთის დიდძალი ჯარი კონსტანტინოპოლში სდგას და უკდის მომენტს, როდესაც მას შეძლება ეშველა გამოიღაშქროს რუსეთის და უკრაინის წინააღმდეგ მეამბოხეებთან ერთად, საფრანგეთის სამხედრო გემები უკვე ოდესასთან არიან და მზათ არიან თავდასასხმელად. რუსეთის საბჭოთა მთავრობა მიმართავს საფრანგეთის მოძმე მუშათა და გლეხთა მასებს მოწოდებით: ებრძოლონ საფრანგეთის კონტრრევოლიუციონურ განზრახვას რუსეთის და უკრაინის შინაურ საქმეებში ჩარევას. საბჭოთა რუსეთს იმედი აქვს საფრანგეთის მშრომელთა დახმარების, რომ ბოლო მოუღონ მათი მთავრობის აგრესიულ მოქმედებას, რომელიც რუსეთის და უკრაინის მშრომელთა წინააღმდეგ არის მიმართული.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

რიმის ცნობები.

ირკვევა დაწვრილებით სექტემბრის 28—29 ვოლკოვიცკის რაიონში წითელ არმიელთა განადგურების ამბავი. ჩვენ სავსებით გავანადგურეთ დონის საბჭოთა მეოთე ქვეითა დივიზია და მე-17 ცხენოსანთა დივიზია. ტყვედ წამოვიყვანეთ 3500 კაცი. ხელთ ვიგდეთ ორი შეკეთებული ზარბაზანი. სულ ვოლნოვახის რაიონში ტყვედ წამოვიყვანეთ 5000 ტყვე ჯარისკაცი, დაგვრჩა აგრეთვე ერთი ჯავშნიანი მატარებელი, 5 ორთქლმავალი, 100 ვაგონზე მეტი და სხ. სინელნიკოვის მიმართულებით ჩვენ შევუტიეთ წითელ არმიელებს და ჩრდილოეთისაკენ გავრეკეთ. ხელთ ვიგდეთ 700-ტყვე, 3 ზარბაზანი და 16 ტყვიისმფრქვეველი. სულ სინელნიკოვოს რაიონში უკანასკნელ 4 დღის განმავლობაში დავატყვევეთ 3000 კაცი და სხვ. მტერმა სცადა კუნძული კორტიცის დაკავება, მაგრამ მოიგერიეთ. დნეპრის რაიონში გააფთრებული ზვერვა.

პოლონეთის ფრონტი.

გროდნო პოლონელებმა აიღეს. პოლონეთის ჯარი თავს ესხმის ვილნას. კოველის რაიონში პოლონელებმა კურინსკი აიღეს და ხელთ იგდეს 4 ორთქლმავალი, 108 ვაგონი, 2 ჯავშნოსანი მატარებელი, 8 ზარბაზანი და 30 ტყვიისმფრქვეველი.

ჩვენმა მფრინავებმა (ვამოტოკვებულია) რაიონში შენიშნეს, რომ დიდი აფეთქება მოხდა.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ვენიდან იუწყებიან: უნგრეთის მთავრობამ წინადადება მისცა ანტანტას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალ კომბინაციის მოწყობის შესახებო. ამ კომბინაციაში ჩათრეულია გერმანიაც. ამასთანავე ანტი-ბოლშევიკურ ძალებისადმი დახმარების აღმოჩენისათვის გერმანიას პოზნანის დაბრუნებას პირდებიან. ამტკიცებს რა სიმართლეს ამ ხმებიას მოსკოვის „იზვესტია“ აღნიშნავს, რომ ანტატის და გერმანიის შორის მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ რუსი კონტრ-რევოლიუციონერებიო. ისინი ცდილობენ შექმნან სამღვთო კავშირი რუსეთის წინააღმდეგ.

ᲓᲔᲠᲔᲤᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ლიონის ცნობა.

პოლონელების გამარჯვება.

ვარშავიდან მოსული ცნობით პოლონეთისა და ლიტვას შორის დროებითი ზავი დაირღვა ოქტომბრის 2 პოლონეთიდან მიღებულ ცნობით მათ აუღიათ ქალაქი ნოვოგროდსკი. ბოლშევიკები, რომლებიც წარსულ კვირას ბელოსტოკთან, ლიპოვეცკთან და ზამოსტში (?) იყვნენ 100—150 კილომეტრით უკუვაქციეთ. საბჭოთა ჯარების მე-16 დივიზია თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც გავანადგურეთ. უკანასკნელ ხანების ბრძოლებში პოლონელებმა ტყვეთ წამოიყვანეს 42 ათასი კაცი, ხელთ იგდეს 169 ზარბაზანი, 990 მიტრალიეზი და დიდძალი სამხედრო მასალა.

რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება.

საფრანგეთის პრესაში დაბეჭდილია ინგლისიგფორსიდან მიღებული ცნობები, რომლიდანაც სჩანს, რომ ბოლშევიკების პოლონელებთან დამარცხების შემდეგ ფინლიანდიის საზოგადოებრივი აზრი რუსეთისადმი შეიცვალა და მასთან შეთანხმების წინააღმდეგია.

რუსეთის ქონების დაცვა.

საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1901 წ. ოქმს გადასწყვეტეს მიიღონ თავის თავზე რუსთა უძრავ ქონების დაცვა ჩინეთში.

რეშტის დაბრუნება.

თეირანიდან მოსული დეპეშის თანახმად სპარსელებმა რეშტი აიღეს.

ადრიატიკის საკითხი.

სერბიის მინისტრმა აცნობა იტალიის მთავრობას, რომ საბერძნეთი თანახმაა ადრიატიკის საკითხის შესახებ იტალიასთან მოლაპარაკების დაწყებისა. ის მოლაპარაკება დაიწყება ოქტომბრის 8 ვენეციაში.

ფინანსიური ორგანიზაცია.

ბრიუსელის კონფერენცია, ეტყვი ითქმა, დადგენს, რომ დაარსდეს საერთაშორისო ფინანსიური ორგანიზაცია ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ. ეს ორგანიზაცია კონფერენციის მუშაობას განაგრძობს.

სომხეთში.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ სომხეთის რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე გამოცხადებულია სამხედრო წესები. გამოაცხადეს აგრეთვე მობილიზაცია 35-წლამდე. დეზერტირები სიკვდილით დაისჯებიან. ტფილისთან მე-6 დღეა რაც სატელეგრაფო დამოკიდებულება შეწყვეტილია. სომხეთის რკინის გზებზე სამხედრო წესებია გამოცხადებული. ყველგან სწარმოებს მოხალისეთა ჩაწერა. დიპლომატიური მისია იუწყება: ქემალისტებმა სომხეთის რესპუბლიკას შემოუსიეს ყველა ძალა, რაც კი მათ ოსმალეთის სომხეთში ყავდათ. მთავარ სტრატეგიულ პუნქტებზე მხოლოდ მცირე ნაწილები დასტოვეს.

— სექტემბრის 28 ოსმალებმა საგრძნობი ძალებით სარიყამიშს ფრონტს შემოუტიეს. სექტემბრის 29-ს სომხებმა სარიყამიში დასტოვეს. ფრონტზე ოსმალების ორი სრული დივიზია იბრძვის. სექტემბრის 30 მტერმა არტილერიის დახმარებით შემოგვიტია სოფ. ოლისლთან, მაგრამ ჩვენმა ჯარებმა იგი უკუაქცია.

— სომხეთის დიპლომატიურ მისიასთან არსებული სამხედრო წარმომადგენლობა ოფიციალურად იუწყება: ოქტომბრის 3 ნოემბერიმის რაიონში ჩვენმა ჰაეროპლანებმა მტრის არტილერიას ყუმბარები დაუშინა. ოქტომბრის 4 კულპთან მტერმა შემოგვიტია შეტევა მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. მობილიზაცია კარგად მიმდინარეობს.

იუსტიციის სამინისტროში.

ტატიშვილის დაბრუნება.

დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი მ. ტატიშვილი. ამასთანავე ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ა. ყანჩელი გაანთავისუფლეს პროკურორის მოვალეობის ასრულებიდან.

სოხუმის საგანგებო სასამართლოს ლიკვიდაცია.

სოხუმის საგანგებო სასამართლოს ლიკვიდაციის გამო აღნიშნულ სასამართლოს პროკურორის ამხანაგი მ. მელიანიცკი მოვალეობის აღსრულებიდან გაანთავისუფლეს.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია.

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას განსახილველად სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ კანონთა გადამსინჯავის კომისიის მიერ შედგენილი კანონ-პროექტი. ამასთანავე მთავრობას წარედგინა სარეგისტრაციოთ საჭირო წიგნების ფორმა.

ორგანიზაციის აღმოჩენა.

იუსტიციის სამინისტროს სოხუმიდან აუწყებენ ვოლკოვის (კუცენკოს) ციხიდან გაქცევის მოშყობ ორგანიზაციის აღმოჩენას. ვოლკოვი წინათ აღმოჩენილ კომუნისტთა ორგანიზაციის ერთი ბელადთაგანია.

საჩივრების გარჩევა.

საოლქო სასამართლოს სამოსამართლო განყოფილებაში დაიწყო საქართველოს რკინის გზებზე დაშავებულთა საჩივრების გარჩევა. ამ საქმის გარჩევა შეჩერებული იყო ამიერკავკასიის კომისარიატის ტაშლის შემდეგ.

ფინანსიურ-ეკონომიური ცხოვრება.

ქალაქების საბიუჯეტო უფლება.

ფინანსთა მინისტრმა დაავალა თავის თანამშრომლებს სასწრაფოთ დაამუშავონ კანონ-პროექტი სახელმწიფოს, ერობათა და ქალაქთა საბიუჯეტო უფლების შესახებ. ამ ახლო ხანში კანონ-პროექტი დამთავრებული იქნება და მთავრობას წარედგინება განსახილველად.

არაპირდაპირი გადასახადი.

ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მისცა ვაჭრობა-მრეწველობის პალატას წარმოადგინოს ცნობები იმ საქონელთა ბაზრის ფასების შესახებ, რომლებზედაც არაპირდაპირი გადასახადი არის დაწესებული. განზრახულია ამ საქონლებზე დაწესებული აქციზის გადასინჯვა. ამ საკითხის შესახებ ამ დღეებში შედგება სხდომა, რომელსაც დაესწრებიან ფინანსთა სამინისტროს, საქციზო უწყების და ვაჭრობა-მრეწველობის პალატის წარმომადგენლები.

ღვინის კანონის გაფართოება.

ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც მიანდვეს განიხილოს საკითხი ღვინის კანონის რესპუბლიკის ყველა ქალაქზე გავრცელების შესახებ. კომისიის შემადგენლობაში შედიან: მეღვინეთა, ვაჭრობა-მრეწველობის პალატის, ერობათა და ქალაქთა კავშირის საქციზო სამმართველოს და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

საავალიუტო ოპერაციები.

ფინანსთა სამინისტრომ აცნობა საზოგადოება „ჩემოს", რომ საავალიუტო ოპერაციების შესახებ საავალდებულო დადგენილება საზოგადოებას „ჩემოს" არ ეხებაო.

სახელმწიფო შემოსავალი აგვისტოს განმავლობაში.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით მიმდინარე წლის აგვისტოში სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსულა 154265990 მან. წინანდელ თვესთან შედარებით შემოსავალი 32 მილიონ მანეთით გადიდებულა. უკანასკნელ თვეებში სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსული გადასახადი ძალიან გაიზარდა, რაც სჩანს წინანდელ წლის ამავე თვეების შემოსავალთან შედარებით. ამ ხნის განმავლობაში შემოსავალი ცხრაჯერ გადიდებულა. კერძო საბაჟოებისაგან შემოსავალი 37 ჯერ გადიდდა. სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსავალი, ნამეტურ მიმდინარე წლის, შეიქმნა თვალსაჩინო. მაგალითად ივნისში შემოვიდა—96 მილ. მანეთი, ივლისში 122 მილ. მანეთი, აგვისტოში—154 მილ. მან. გადასახადებისაგან ყველაზე მეტი შემოსავალი ჰქონია ტფილისის ხაზინას შემდეგ ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის და სხვ.

ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირმა წინადადება მისცა, სამტრედიის, ზონის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის, ბორჯომის და ხაშურის ქალაქის თვითმართველობათ წარმოუდგინონ კომიტეტს თავიანთი მოსაზრება დაშმუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა შავი ჭირის მოსალოდნელ გავრცელების საწინააღმდეგოთ. ზოგიერთ ქალაქებიდან უკვე მოვიდა ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი, რომელიც ერობათა კავშირის სამკურნალოს სასანიტარო განყოფილებამ განიხილა. ამის გამო ერობათა კავშირმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ დასახელებულ ერობას ამ საქმისათვის გაუხსნან 5 მილიონიანი კრედიტი შესაძლებ ღონისძიებათა მისაღებათ ზემოთ დასახელებულ ქალაქებში მიემგზავრებიან საგანგებო ინსტრუქტორები.

—ქალაქთა კავშირის ცენტრალური ბაქტერიოლოგიური სადგური შავი ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინების დამზადებას შეუდგა. ვაქცინებს ჰირველად ყოვლისა ბათომს მიაწოდებენ. ამასთანავე დამზადებული იქნება ვირთაგვების საწამლავი.

ერობა

გურიის ერობაში.

— ერობას ცნობები აქვს, რომ გურიის სატყეო მართვა გამგეობაში ადგილი აქვს ბოროტ-მოქმედებებს; დაჟინებით ამბობენ ზოგიერთ მოხელით თვითნებობასა და ბოროტ-მოქმედების შესახებ. არავინ იცის, რამდენად მართალია ეს ხმები, მხოლოდ ის კი ფაქტია, რომ ტყეები ზოგიერთ სატყეო აგარაკებში სავსებით იჩეხება. ეს უმთავრესად ხდება, როგორც ამბობენ, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის სატყეო აგარაკებში. ერობის გამგეობამ მიიღო ზომები, ერთის მხრით, ამ ცნობების სინამდვილის გამოსარკვევათ და, მეორეს მხრივ, ტყეების გაჩეხისაგან დასაცავად. მიწად-მოქმედების სამინისტრომ უნდა მიაქციოს ამ მდგომარეობას სერიოზული ყურადღება; საჭიროა სასწრაფოდ დაინიშნოს მთავრობის რევიზია გურიის სატყეო უწყებისა.

— ამ დღეებში ერობის გამგეობამ ქ. ლანჩხუთის გამგეობასთან შეთანხმებით დააარსა ქ. ლანჩხუთში 10 საწოლიანი საავადმყოფო. საავადმყოფოს ხარჯების ერთს მესამედს იხდის ლანჩხუთის ქალაქის გამგეობა; საავადმყოფოს მოსამსახურეთა პერსონალი ინიშნება ერობის გამგეობის მიერ და ირიცხება ერობის შტატში; ერობავე განაგებს საავადმყოფოს ყოველ მხრივ; ქონების ერთი მესამედის მეპატრონეა ქალაქის გამგეობა.

— ერობამ სამსახურში მოიწვია გამოცდილი ექიმი-დოსტაქარი სულაკოვი, რომელიც დაინიშნა ლანჩხუთის საერობო-საქალაქო საავადმყოფოს გამგეთ.

— ერობის გამგეობამ ამ დღეებში შეადგინა სპეციალური კომისია გამგ. წევრის შ. ჭოჭუას თავმჯდომარეობით და რამდენიმე ბმოსნის მონაწილეობით, რომელსაც დაავალა ერობის მიერ დაჭერილ ყველა ბინების ქირის გადაწყვეტა.

— ერობის გამგეობამ დაამტკიცა ახალი ნიხრი ოზურგეთ-ნატანებ შუა ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვაზე. ამ ნიხრის თანახმად, გადაზიდვა ერთი ფუთი მძიმე ტვირთისა (ციმინდი, მარილი, რკინეულობა და სხვა) ღირს 35 მან.; ჩვეულებრივი ტვირთისა (თივა, ტყავი, საწვრილმანო საქონელი და სხვა) 40 მან. ფუთი; ჯირი—50 მან. ფუთი; სამხედრო ტვირთი ფუთზე 5 მანეთის დაკლებით.

— ამ დღეებში გურიის ერობას ეწვია ერობათა კავშირის კომისია, რომელიც 3 დღეს დარჩა ოზურგეთში და დაწვრილებით გაეცნო ერობის მუშაობა-მდგომარეობას ყოველ დარგში; მანვე დაათვალიერა რამდენიმე თემიც.

— ერობის სასკოლო განყოფილება აწარმოებს ენერგიულ მუშაობას სკოლის გარეშე განათლების მოსაწყობათ მაზრაში. ამ მიზნით მან შეკრიბა საჭირო სტატისტიკური ცნობები წერა-კითხვის უცოდინარ 13—50 წლამდე მოქალაქეთა. განყოფილების ცნობით, მას ა. წ. ნოემბერში უკვე ექნება მაზრაში მოწყობილი პირველ დაწყებით სასწავლებელთან 10-მდე საღამოს და საკვირაო სკოლები. მაზრაში არსებულ 21 უმაღ. დაწყ. სასწავლებელთან კი გადაწყვეტილია მოაწყონ სახალხო უნივერსიტეტის მაგვარი კურსები. განყოფილებისავე აზრით, მომავალი წლის მარტში აღარავინ იქნება გურიაში წერა-კითხვის უცოდინარი 50 წლამდე. ძალდატანებით ზომები არ არის საჭირო გურიაში, რომ უცოდინარნი წერა-კითხვის სასწავლათ გამოცხადდენ; წინააღმდეგ, ერობის ამ გადაწყვეტილებას სიამოვნებით ეგებებიან მცხოვრებნი.

— ერობის სასარგებლოთ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შენობებზე დაწესებული 2%-იანი გადასახადი ერობის გამგეობამ გაადიდა ათჯერ; გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნა ისეთი წისქვილები, რომლებსაც არა აქვს ფართო სამრეწველო ხასიათი, თუ ასეთები შეცდომით შეტანილი იყო სიაში.

ერობათა კავშირში.

ერობათა კავშირის კომიტეტმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: წარადგინოს დამფუძნებელ კრებაში კანონ-პროექტი საერობო რვითმართველობათა შესახებ, ამ პროექტში აღნიშნული იქნება დებულება მცირე საერობო ერთეულის და აგრეთვე სამაზრო ერობათა შესახებ. ვინაიდან კომიტეტმა საჭიროდ სცნო მცირე საერობო ერთეულის და სამაზრო ერობის არსებობა, ამიტომ გადასწყდა: სანამ არ იქნება დამუშავებული კანონ-პროექტი სამაზრო ერობის შესახებ, პროექტი მცირე საერობო ერთეულების შესახებ დამფუძნებელ კრებაში არ იქნას წარდგენილი.

— ოქტომბრის 1-ს მოხდა ერობათა კომიტეტის ჰლენუმის სხდომა. კომიტეტის მოწვევით სხდომას დაესწრენ დამფუძნებელ კრების ზოგიერთი წევრები. მოისმინეს მოხსენება ადგილობრივათ საერობო მოღვაწეობის შესახებ. მოხსენება მხედველობაში მიიღეს.

სახელმწიფო განკში.

საავალიუტო კომიტეტის დადგენილება.

საავალიუტო კომიტეტმა დაადგინა: საზღვარგარეთ გამსვლელთ შეუძლიათ თან იქონიონ 100 გირვანქა სტერლინგი ან მისი თანაბარი 5.000 ფრანკი, 400 დოლარი, 420 ოსმალური ლირა, 7.200 იტალიანური ლირა და ან 16.000 გერმანული მარკა. ასეთი თანხის გასატანად საავალიუტო კომიტეტისაგან განსაკუთრებული ნებართვა საჭირო არაა. საბაჟოებს უკვე ეუწყა ამის სათანადო ცნობა.

საავალიუტო კომიტეტის შემადგენლობა

სახელმწიფო ბანკთან დაარსებული საავალიუტო კომიტეტი შესდგება: სახელმწიფო ბანკის საგარეო განყოფილების მმართველის, ფინანსთა, მიწად-მოქმედების და მომარაგების სამინისტროების, ერობებისა და ქალაქების კავშირის და 11 საკრედიტო დაწესებულების წარმომადგენელისაგან, რომელთაც საავალიუტო ოპერაციების წარმოების უფლება აქვთ. საავალიუტო კომიტეტის დადგენილებებს, სათათბირო ხასიათი აქვს.

ახალი ამბები

ნავთი. სასურსათო განყოფილებამ ნავთის წესიერად დარიგების მიზნით ქალაქი ოთხ რაიონად დაჰყო. ყოველ რაიონში საგანგებო აგენტი იქნა დანიშნული.

ჰიათურის მუშების ტარიფი. სატარიფო პალატამ ჰიათურის მარგანეცზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირს აცნობა, რომ შესწორებები რომლებიც შეტანილი იყო სექტემბრის 13, ჰიათურის მუშათა და მოსამსახურეთა ტარიფში, შევა ძალაში მისი სატარიფო პალატის მიერ მიღების დღიდან ე. ი. სექტემბრის 13-დან.

მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერობებს და ქალაქის თვითმმართველობებს წინადადება მისცა წარმოადგინონ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ეს განკარგულება გამოწვეულია მით, რომ დამფუძნებელ კრებას განზრახული აქვს ოქტომბერში სახელმიფოს 1920—1921 წლის ბიუჯეტის განხილვას შეუდგეს. საკითხის ყოველმხრივი გამოკვლევისთვის საჭიროა აგრეთვე საქალაქო და საერობო თვითმმართველობათა ხარჯთ-აღრიცხვები.

აკ. ჩხენკელის სახელობის სკოლა. სენაკის ქალ. თვითმართველობამ დაადგინა სენაკის მე-2 დაწყებით სკოლას აკ. ჩხენკელის სახელობის სკოლა უწოდოს.

სახალხო გვარდიის ყრილობა. სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა, რომლის მოწვევასაც ოქტ. 10 ფიქრობდენ, დროებით გადაიდო 24 ოქტომბრისათვის, სხდომა გაიხსნება დილის 10 საათზე ზუბალოვის სახალხო სახლის შენობაში.

ინგლისი და საქართველო. ამიერ-კავკასიაში მყოფმა დიდი ბრიტანეთის ყოფილმა უმაღლესმა კომისარმა ლიუკმა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „სანამ საქართველოს დავსტოვებდე, მე მსურს კიდევ გამოვსთქვა ჩემი გულწრფელი კეთილი სურვილი, რომ თქვენმა ქვეყანამ მშვიდობიანათა და კეთილად იცხოვროსო".

ადგილობრივი სომხეთი.

სომხეთის დიპლ. მისიასთან არსებულ სამხედრო წარმომად. ცნობა: ოსმალთა საერთო შემოტევის გამო სომხეთში მთავრობამ 35 წლამდე მობილიზაცია გამოაცხადა. ამიტომ ტფილისში მცხოვრებ სომხეთის მოქალაქეთ იწვევენ მოიხადონ თავისი სამოქალაქო ვალი და 3 დღის განმავლობაში (9 ოქტ.) სომხეთს გაემგზავრონ.

წასასვლელ მოწმობისათვის უნდა მიმართონ სამხედრო წარმომადგენლობის კანცელარიას (განოვის ქუჩა № 22)

სომხეთის ეროვნულ საბჭოში ოქტომბრის 4 შესდგა სომხეთის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა და დაწესებულებათა კრება შექმნილ მდგომარეობაზე სათათბიროთ. კრებამ შემდეგი დადგენილებები გამოიტანა 1) ტფილისში ოთხშაბათს მოაწყონ საპროტესტო მიტინგი, მიმართონ უცხოეთის მისიებს ოსმალთა შემოტევის დაუყონებლივ შესაწყვეტად. 2) მიმართონ რადიოთი საერთაშორისო პროლეტარიატს პროტესტით ოსმალთა შემოტევის გამო. 3) მოაწყონ შემოწირულება ფრონტის დასახმარებლად: 4) ცრკულიარულად აუწყონ ყველა მოსამსახურეთ რომელთაც სურთ ფრონტზე წასვლა, რომ მათ შეენახებათ ადგილები და მიეცემათ ჯამაგირები. 5) ხელი შეუწყონ ფრონტზე მოხალისეთა წასვლის საქმეს.

ყველა დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ შესდგა საგანგებო კომისია.

— ოთხშაბათს ოქტ. 6 საპროტესტო დემონსტრაციის გამო დაიხურება სომხური დაწესებულებები, სავაჭრო-სამრეწველოები და სასწავლებლები.

— სომხეთის სტუდენტთა დაახალგაზრდათა ინიციატივით გამოცხადდა მოხალისეთა მიღება ფრონტზე გასაგზავნათ.

— დაშნაკცუტიუნის პარტიის კომიტეტის შენობასთან შემდეგი განცხადებაა გაკრული, ოფიციალური ცნობებით სარიყამიშის რაიონში ოსმალები ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა სასტიკათ დამარცხა. მტერი გარპვის. ჩვენი ჯარი მათ ფეხდაფეხ მისდევს.

მუშათა მაგიდა

ხიების ისწორით შედგენისათვის.

მუშათა მაგიდამ რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირებს მიმართა ცირკულიარით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მუშათა მაგიდა ხშირად ღებს შუამდგომლობას მომარაგების ფონდიდან ხორბლისა და სხვა სურსათ-სანოვაგის მიწოდების შესახებ. შუამდგომლობას თანდართული აქვს მოსამსახურეთა და მუშების სიები, რომლებიც უმეტეს წილად არ არსებულ დაწესებულებების მიერ არის შედგენილი, უბრალო ქაღალდზე. და ხადაც არ არის აღნიშნული სულიერ რაოდენობა. ამიტომ მუშათა მაგიდას არ აქვს შეძლება დაკმაყოფილოს სრულიად მუშებისა და მოსამსახურეების მოთხოვნილება. საკითხის მოსაწესრიგებლად საჭიროა, რომ ამ საქმის ინიციატივა ადგილობრივ პროფესიონალურმა კავშირებმა აიღონ თავზე. პროფესიონალურმა კავშირმა უნდა შეადგინოს სამაზრო სასურსათო კომისიები, რომლებიც ვალდებულნი არიან: 1. გამოარკვიონ მოსამსახურეთა და მუშათა რიცხვი მაზრის ყველა დაწესებულებაში, 2) გამოარკვიონ რიცხვი იმ პირთა, რომლებსაც მუშები და მოსამსახურეები არჩენენ, 3) შეადგინონ ერთი მთლიანი სია მუშებისა და მოსამსახურეებისა ყველა დაწესებულებათა და წარუდგინონ მუშათა მაგიდას 2 ცალათ. მუშათა მაგიდა რწმენას გამოსთქვამს, რომ პროფესიონალური კავშირები ენერგიულად მოკიდებენ ხელს საქმეს და ყველა მაზრაში მათი საშუალებით მოწყობილი იქნება სურსათ-სანოვაგის მიწოდებისა საქმე.

რკინის გზაზე

ზოძრავ შემადგენლობის მდგომარეობა.

რკინის გზათა სამმართველომ შეადგინა მიმოხილვა საქართველოს რკინის გზათა მოძრავ შემადგენლობის მდგომარეობის და მეურნეობის შესახებ. მოხსენება ფართოთ ეხება საქართველოს რკინის გზების მდგომარეობას 1918 და 1919 წლებში. აღნიშნავს რა მთელ რიგ დაბრკოლებას გზათა სამმართველო აღნიშნავს, რომ რკინის გზის ცხოვრების ნორმალური მსვლელობა თანდათან აღდგენილ იქმნაო. რევოლიუციის დროს დამსხვრეული ორთქლმავალები ეს ვაგონები შეკეთებულ იქმნა. საქართველოს სახაზინო რკინის გზას შემდეგი მოძრავი შემადგენლობა აქვს: სამგზავრო ორთქლმავალი—55. საბარგო—267. სარონინო—60. ვაგონები კი სულ 4.734. რკინის გზის სამმართველოს მთავარ მიზანს შეადგენს მოძრავ შემადგენლობის შეკეთება ამიტომ მიმოხილვა ვრცლად ჩერდება სახელოსნოების და დეპოების მოქმედებაზე. სახელოსნოების ნაყოფიერების გასადიდებლად შემოღებულია საღამოს სამუშავო საათები. ამით მეტად დაჩქარდა ორთქლმავალთა შეკეთების საქმე.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელ დეპეშებისა

29 ენკენისთვისა.

1) გორიდან—არჩუაძეს; 2) სანაინიდან—ვართაპეტოვს; 3) სვირიდან—ტაბატაძეს; 4) საჭამიასერიდან—შარაშანიძეს; 5) ლაგოდეხიდან—სულაქველიძეს; 6) ბათუმიდან—კავტალიუს; 7) ბათომიდან—ბარსეგიანცს; 8) მანგლისიდან—ვოზალოვას; 9) დარკვეთიდან—მიულსის 10) ბათომიდან—ლეონტიევს; 11) ქუთაისიდან—ასათიანს; 12) ხონიდან—კაკაბიძეს; 13) სოხუმიდან—ადამიას; 14) ლაგოდეხიდან—ფურცელაძეს; 15) ლანირ-ჰაგანიდან—ოდელავაძეს; 16) ჭრებალოდან—გოგელიას;

1 ოქტომბრისა.

აბაშიდან—ჭიაურელს; ონიდან—დადეშვილს; სიღნაღიდან—სარქისოვს; ქუთაისიდან—ლანჩავას; ყვარელიდან—იორდანიშვილს სანდარიდან—ზიმინს; ზესტაფონიდან—გეორგობიანს; ყაზბეგიდან—გაბრიელიანცს; ცხინვალიდან—სტარჩაკს; სადმელიდან—ჯაფარიძეს; ველისციხიდან—მანუკიანცს; ქუთაისიდან—დადიანს; ბათომიდან—პოლიაკოვს; ბათომიდან—ვაჩნაძეს; ყაზბეგიდან—გზირიანცს; ყარაიაზიდან—ხარიტოვას; გურჯაანიდან—ხელიძეს; სან-ინიდან—კიკნაძეს; ბათომიდან—ჩხეიძეს; ოჩემჩირიდან—როტრიცკის; ქუთაისიდან—მაჯგალაძეს; სუმბათოვოდან—ტომბათოვოდან—ტომბას; სანაინიდან—კარაპეტიანცს; ტფილისიდან—მირიანაშვილს; მუხრანიდან—მათიაშვილს.

წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით წალენჯიხის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს დავალებით გულწრფელი მადლობა გამოუცხადო ობუჯის სასწავლებლის მასწავლებელს მოქალაქე იაკობ ფიფიას, რომელმაც სასწავლებელს უფასოდ დაუთმო საკლასო დგამისათვის საჭირო საუკეთესო ხის მასალა, ღირებული ხუთი ათას მანეთად.

წალენჯიხის უმ. დაწყ. სასწავლებლის გამგე ი. ოხიძე.

ზანცხადებანი

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 3 სექტემბერს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულის 8 აპრილს 1920 წ. გრიგოლ ონანას ძე ონანოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას.

2674 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 30 ივლისს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულის 30 მარტ. 1915 წ. შაქრო კარაპეტის ძე მარტიროზოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკ. შესახებ დადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას.

2797 1—1

ქალ. ტფილისის მე-14 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ პეტროს გრიგორიანი იგივე პეტრე გრიგორიანიძე გუკასიანცის დარჩენილ ქონებაზე თავისი უფლებების წამოსაყენებლად ნაჩვენებ ვადაში თანახ. 1241 მუხ. 1 ნაწ. X-ტომ. სამოქალ. სას. წარმ.

3000 1—1

სახელმწიფო სასამართლო, თანახმად 1920 წ. 27 სექტემბრის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა, ეშვებს დრაგუნ მე-2 ცხენოსან პოლკის სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროს მცხოვრებ 25 წ. სტეფანე ისაკის ძე ბაიდაშვილს, რომელიც მიცემულია სამართალში თანახმად დეკრეტისა დამფუძნებელ კრებისა 27 ივნის 1919 წ. ჯ. 2. ლიტ. ა. 260 მუხ. XXIV წ. ს. დ. კ. გამ. 4 და ბრძ. ს. დ. 1917 წ. № 336.

ყველა, ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ბაიდაშვილი ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32.

922 3—1

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. № 4830 შალვა ნიკოლოზის ძე ძიზონაშვილის სახელზ. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2998 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3080, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და მეტრიკა ეუშუაკ შალამის ძე ტეცოშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3001 3—1

ქალ. ტფილისის მე-14 უბნის მომრიგებელი-მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ალექსანდრე გაბრიელის ძე ბადრიძის დარჩენილ ქონებაზე თავისი უფლებების წამოსაყენებლად ნაჩვენებ ვადაში თანახ. 1241 მუხ. I ნაწ. X-ტომ. სამოქალაქო სას. წარმ. 2999 1—1

დაიკარგა უვადო საოჯახო პასპორტი და პირადობის მოწმობა, მიღებული ვარშავაში ლეონტი ვლაგას ძე პავლონსკის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2995 3—1

დაიკარგა ატესტატი № 232, მიღებული ტფ. პირველ კომერციულ სასწავლებლიდან 1916 წ. და მეტრიკული მოწმობა № 2383, მიღებული ამიერ-კავკასიის შიიტების სასულიერო სამმართველოდან—ნაგი მაშადი ალესკერ ოღლი ბაგიროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3002 3—1

დაიკარგა ერთი რუსული ვინტოვკის და ერთი თათრული ვინტოვკის ნებართვები შაქარ პეპანაშვილის სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3003 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან და სტუდენტების კოოპერატივის წიგნაკი—ივანე ისიდორეს ძე ნიქაბაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2997 3—1

ქ. ტფილისის მე 9 სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული კ. პატემკოვსკი აცხადებს, რომ 19 ოქტომბერს 1920 წ. დილის 10 საათზე, მე-9 კომისარიატში ტურგენიევის ქუჩაზე სახლი № 4, საჯარო ვაჭრობით გაყიდული იქნება ბოძრავი ქონება მოპასუხეების ნიკოლოზ ნიკიტინის და ფეოდოსია კნიაზევისა, რომელიც შეადგენს შალის ნაჭერს და პლიუშის ჟაკეტს დასაკმაყოფილებლათ ვასილი კუზნეცოვის 8230 მანეთის პრეტენზიისა.

2990 1—1

დაიკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბარათი № 85061—180 მანეთის. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2994 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა, იარაღის მოწმობა და პასპორტი ლეონიდრეო ონოლის საზოგადოების მილიციონერ-ანტონ გაბუნიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს

3—1 (უფ.)

მინდობილობა მიცემული არმენაკ სერგოს ძე აზატიანცზე ვარვარა დიმიტრის ასული ოვიანცის მიერ დამტკიცებული ტფილისის ნოტარიუსის პოტეზატის მიერ 1916 წ. რეესტრით № 3157 გაუქმებულია. 2991 1—1

დაიკარგა პასპორტი ვარვარა ემელიანის ასული ოვჩინიკოვის სახელზე, მიღებული ვასილევის სოფლის სამმართველოდან (ვოლინის გუბ.) გაუქმებულად ჩაითვალოს.

2941 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, № 502 მიღებული ნიკოლაწმინდის საზ. 1919 წ., სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და ქუთ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, მე-4-ე ხარისხის წმ. გიორგის ჯვრის მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი, მიღებული სოფ. ჭელია ღელეს (რაჭის მაზრა) ეკლესიიდან კონსტანტინე ამბაკოს ძე ქართველიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2960 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი გასტონ ალექსანდრეს ძე ფილოიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1906 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2964 3—3

დაიკარგა კვიტანციები და ქალაქის გამგეობის მოწმობა 1770 მიცემული ოქტომბრის 2-ს 1920 წ. მარიამ სოლომონის ასული დეგროვის სახელზე ღვინო-გასტრონომიული მაღაზიის ვაჭრობის შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3004 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან და შრომის ბირჟის ბარათი თამარ ივანეს ასული იუზბაშევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2967 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში პელაგია ზაქარიას ასულმა ლამაზაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ლევან-ლაზარეს ძე ლამაზაშვილი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1910 წ. უკვალოდ დაიკარგა 1912 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა ვინც იცის დაკარგულ ლევან ლამაზაშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2962 3—2

იოსებ იოსების ძე ტიკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დაბადების მოწმობა, მიღებული 1875 წ. მეტრიკული მოწმობა, მიღებული ქალ. ვაიბერტიდან (ბოგემია), პასპორტი, მიღებული ქალ. ვენიდან 1900 წ. და ჯვრის წერის მოწმობა იოსებ ტიკის და მარიამ ტიკის სახელზე, მიღებული ეკატერინოდარში მიძინების ეკლესიიდან 1903 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2985 3—2

დაიკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის 6 კლასის დამთავრების ატესტატი მე-7 დამატებითი კლასის დამთავრების მოწმობა მიხეილ გორგაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2976 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ქუთ. მილიციის უფროსისაგან და სამხედრო ნუსხა მიღებული ქუთ. მაზრის სამხედრო უფროსისგან რაფაელ მიხეილის ძე იაკობიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2975 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი სასამართლოს ქუჩ. № 18 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის თამირიანცს გაუქმებულად ჩაითვალოს 2979 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ივანე ზურაბის ძე გოზალოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2970 3—3

დაიკარგა მოწმობა მარიამ (სალომე) მოსეს ასული როსტევანოვის-სახელზე მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2959 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი დიდიმთავრის ქუჩაზე № 79 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის პროცერს (ყოფილი რუკსის). გაუქმებულად ჩაითვალოს. 2989 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 13436 მიხეილ წულუკიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2981 3—2

დაიკარგა ხაშურის გიმნაზიის დამთავრების ატესტატი და მეტრიკული მოწმობის ასლი მიღებული სინოდალურ კანტორიდან ელიზბარ კონსტანტინეს ძე გველესიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2984 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან ორი თვით თავისუფლების მოწმობა, მიღებული გვარდიის სანიტარულ რაზმიდან და მეპურეობის მოწმობა მიღებული მეპურეთა ამქრიდან სიმონ ლუკას ძე კერვალიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2955 3—3

ქ. ტფილისის მე 14 და მე 15 სამომრიგებლო უბნების სასამართლოს ბოქაული ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ 14 ოქტომბერს 1920 წ. დილის 10 საათზე ტურგენიევის ქუჩაზე (მე-9 კომისარიატი) სახლის № 4 ეზოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ივანე სტეპნიაკის მოძრავი ქონების, რომელიც შესდგება ხის ავეჯისაგან და აწერილია ტფილისის საოლქო სასამართლოსაგან 28 თებათვეს 1920 წ. თარიღით № 21474, მიცემულ აღმასრულებელ ფურცლის ძალით ანა სტეპნიაკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ქონება შეფასებულია 1760 მან. 2958 3—2

აქციზის სამმართველო აცხადებს რომ აქციზის ინსპექტორს საბაჟოსთან ჰ. ჯაფარიძეს დაუკარგავს საქციზო სამმართველოდან მიცემული ღია ფურცელი № 3033 მოწმობითრის ნაცვლადაც მას მიეცა სამმართველოდან ახალი ღია ფურცელი № 4476 დაკარგული ფურცელი გაუქმებულად ჩაითვალოს.

921 3—2

დაიკარგა ექვსი კლასის მოწმობა, № 331 მიღებულთა ქალთა მე 5 გიმნაზიიდან 1919 წ. ანგელინა იაკობიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2957 3—2

სახალხო გვარდიის მე 2 სამთო ბატარეის უფროსის მიერ დაკარგულია სახაზინო ბეჭედი „მე 2 სამთო ბატარეია სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადა“. ჩაითვალოს გაუქმებულად. 924 3—1

დაიკარგა კვიტანცია № 457 მიღებული სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების სახელოსნოდან 1920 წ. აგვისტოს 2 ს გაუქმებულად ჩაითვალოს. 2952 3—1

რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექცია

ამა წლის 9 ოქტომბრისათვის დღისით შაბათს 12 საათისათვის იწვევს სასამართლო დაწესებულებათა შენობაში (სასამართლოს ქუჩა № 32) იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში, ტფილისის საპყრობილეებისათვის ხორცის და ქონის მოწოდების შესახებ. 920 1—1

სახელმწიფო სტამბა

ოედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ ბაბალიანი.